შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

INTERNATIONAL BLACK SEA UNIVERSITY

IBSU

No / ნომერი: 014/01/146

Date / თარიღი: 18.03.2014

GRASS REFORMANDA

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“
წერილის რეგისტრაციის № 90
თარიღი: 24 03 2014 წ.

ა(ა)იპ - „საქართველოს რეფორმების ასოციაციას“

თქვენი 2014 წლის 21 თებერვლის #116 წერილის პასუხად გაცნობებთ რომ:

1. 2007 წლის 02 აპრილის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა სახელმწიფოსგან (წარმომადგენელი ქ.თბილისის მერია) 1 923 218 (მილიონ ცხრაას ოცდასამი ათას ორას თვრამეტი) ლარად იყიდა ქ.თბილისში, კახეთის გზატკეცილი „ავტოვაზის“ მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთი (05/002), საკადასტრო კოდი - 01.19.18.05.002. დღეის მდგომარეობით აღნიშნული თანხა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს სრულად აქვს დაფარული (დანართი - 1).

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა „ავტოვაზის“ მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთი (05/002) საკუთრების უფლებით დაირეგისტრირა საჯარო რეესტრში (დანართი 2).

საუნივერსიტეტო კომპლექსის მშენებლობისათვის გამიზნული სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში აღმოჩნდა, რომ მიწის ნაკვეთში განთავსებული იყო მიწისქვეშა კონსტრუქციები (მაღალი წნევის გაზის მილები და მაღალი ძაბვის კაბელები). შესაბამისად, მხარეთა შორის 2007 წლის 24 აგვისტოს დადებული შეთანხმებით, ცვლილება შევიდა 2007 წლის 02 აპრილის ნასყიდობის ხელშკრულებაში ნასყიდობის საგნის მახასიათებლების ნაწილში - შეიცვალა ნასყიდობის საგანის მისამართი - ქ.თბილისში, კახეთის გზატკეცილი „რადიოსადგურის“ მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთი (001/133), საკადასტრო კოდი - 01.19.25.001.133. გაუქმდა შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საკუთების უფლების რეგისტრაცია „ავტოვაზის“ მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი - 01.19.18.05.002) – (დანართი 3).

დღეის მდგომარეობით შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საკუთებაში იმყოფება ქ.თბილისში, კახეთის გზატკეცილი „რადიოსადგურის“ მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთი (001/133), საკადასტრო კოდი - 01.19.25.001.133.(დანართი 4).

2. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ქალბატონი გიული ალასანია 2002 წლიდან მოღვაწეობდა. 2007 წელს მას ეკავა პრორექტორის (სამეცნიერო და აბრეშუმის გზის კვლევის დარგში) თანამდებობა (დანართი 5). 2013 წლის 31 დეკემბერს ქალბატონი გიული ალასანია პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან (დანართი 6).

დანართი: 14 (თოთხმეტი) ფურცელი

პატივისცემით,

რექტორი შევქეთ ერჯან თუნჩი

მისამართი: დ. აღმაშენებლის ხეივანი. მე-13 კმ/№2
თბილისი, საქართველო
ტელ: (+99532) 2595006 / 2595007 / 2595008
ფაქსი: (+99532) 2595005

Address: D. Agmashenebeli Alley 13th km.
No: 2 Tbilisi, GEORGIA
Tel: (+99532) 2595006 / 2595007 / 2595008
Fax: (+99532) 2595005

e-mail: info@ibsu.edu.ge

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

INTERNATIONAL BLACK SEA UNIVERSITY

IBSU

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №249
2013 წლის 31 დეკემბერი
ქ. თბილისი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პრორექტორის გიული ალასანიას, კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და საინჟინრო საქმის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ასოც. პროფ. დოქტ. ვიქტორია ბარამიძისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მკვლევარ-ასისტენტის სალომე მარკოზიას დაკავებული თანამდებობებიდან გათავისუფლების შესახებ,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. პირადი განცხადების საფუძველზე (სარეგისტრაციო №013/02/703; 31.12.2013), 2014 წლის 1 იანვრიდან შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პრორექტორი გიული ალასანია გათავისუფლებულ იქნას დაკავებული თანამდებობიდან;

2. პირადი განცხადების საფუძველზე (სარეგისტრაციო №013/02/702; 31.12.2013), 2014 წლის 1 იანვრიდან ვიქტორია ბარამიძე გათავისუფლებულ იქნას შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და საინჟინრო საქმის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერისა და ასოცირებული პროფესორის თანამდებობიდან;

3. პირადი განცხადების საფუძველზე (სარეგისტრაციო №013/02/704; 31.12.2013) 2014 წლის 1 იანვრიდან სალომე მარკოზია გათავისუფლებულ იქნას სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მკვლევარ-ასისტენტის თანამდებობიდან.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი
შევქეთ ერჯან თუნჩი

მისამართი: დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ/№2
თბილისი, საქართველო
ტელ: (+99532) 2595006 - 07 - 08
ფაქსი: (+99532) 2595005

Address: D. Agmashenebeli Alley 13th km.
No: 2 Tbilisi, GEORGIA
Tel: (+99532) 2595006 - 07 - 08
Fax: (+99532) 2595005

e-mail: info@ibsu.edu.ge

საქართველო

სანოტარო აქტი
ხელშეკრულება
სახელმწიფო საკუთრებაში არსებული
უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ
(პირდაპირი განკარგვის წესით)
2007 წლის ორი აპრილი

ნოტარიუსი ქ.ოდილავაძე
ქ.თბილისი, ტაბიძის ქ.№4

რეესტრში რეგისტრაციის №1663/1

საქართველო

ორი ათას შვიდი წლის ორ აპრილს მე, ქეთევან ოდილავაძეს, ნოტარიუსს ქ.თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, გ.ტ‌ბიძის ქ.№4. მომმართეს: სახელმწიფო, ქალაქ თბილისის მერიის (მთავრობის) სახით ქ.თბილისის მერის პირველმა მოადგილემ (ვიცე-მერი) ადმინისტრაციის უფროსმა, ქ.თბილისის მიწის მართვის და განკარგვის კომისიის თავმჯდომარემ მამუკა ახვლედიანმა (შემდგომში, გამყიდველი) და მეორე მხრივ **შპს „შავი ზღის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ დირექტორის აჰმეთ ჩეთინ ჯან-ის ნდობით აღჭურვილმა პირმა რესულ დიქმენმა (მინდობილობა დამოწმებული 2007 წლის 29 მარტს ნოტარიუსის მ.ბრეგვაძის მიერ რეესტრი №1-3637)** (შემდგომში, მყიდველი), რომლებმაც განაცხადეს, რომ სურთ უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების დადება და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მხარეების პირადობა, მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი რომ, ნამდვილად: **მამუკა ახვლედიანმა (დაბ.22.06.1973წ., მცხ.ქ.თბილისში, თხინვალის შესახ.№9, პ/მ №01017007577, №g0857621 გაცემული მთაწმინდის საპასპორტო მრ და სარ სამსახურის მიერ 16.01.2000წ.) და რესულ დიქმენმა (დაბ.26.03.1972წ., ნიქსარში, მცხ. თურქეთის რესპუბლიკა, ქ.თოქათი, ნიქსარის რაიონი, სოფ.უსთაჰასანი, დროებით მცხოვრები ქ.თბილისი, გორგასალის ქ.№39, პასპორტი TR-N 392606 გაცემულია თბილისში თურქეთის რესპუბლიკის საელჩოს მიერ 01.03.2004წ.)** მომმართეს. მე შევამოწმე მათი ქმედუანარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. ასევე დავადგინე მათი ნების გამოვლენის ნამდვილობა.

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, მე შევამოწმე ის ფაქტი, რომ ნასყიდობის საგანი (უძრავი ქონება) ნამდვილად ეკუთვნის გამყიდველს.

დავადგინე გარიგების შინაარსი და მხარეებს განუმარტე: უძრავი ქონების შემძენი, საკუთრების უფლებას იძენს, საჯარო რეესტრში შემძენის რეგისტრაციის შემდეგ, რისთვისაც აუცილებელია საჯარო რეესტრს წარედგინოს წინამდებარე ხელშეკრულების ერთი ეგზემპლიარი, 15 დღის ვადაში.

ამ განცხადების შემდეგ მე შევადგინე ნასყიდობის ხელშეკრულების პროექტი, რომელიც წავუკითხე მხარეებს. მათ განაცხადეს, რომ სურთ ხელშეკრულების დადება, სწორედ იმ პირობებით, რაც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში. შემდეგ მხარეებმა წაიკითხეს წინამდებარე ხელშეკრულება და ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერეს მას.

ხელშეკრულება
სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ
(პირდაპირი განკარგვის წესით)

მუხლი 1. გარიგების საგანი

ორი ათას შვიდი წლის **ორ აპრილს,** ჩვენ ერთ მხრივ, სახელმწიფო, ქალაქ თბილისის მერიის (მთავრობის) სახით ქ.თბილისის მერის პირველმა მოადგილემ (ვიცე-მერი) ადმინისტრაციის უფროსი, ქ.თბილისის მიწის მართვის და განკარგვის კომისიის თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანი (შემდგომში გამყიდველად წოდებული) უფლებამოსილება მინიჭებული 2006 წლის 10 ნოემბრის №01.45.45 დადგენილების საფუძველზე და მეორეს მხრივ **შპს „შავი ზღის საერთაშორისო უნივერსიტეტი“** (შემდგომში მყიდველად წოდებული) ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

გამყიდველმა მყიდველს საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 22 მარტის №127 განკარგულების საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის წესით საკუთრებაში გადასცა საუნივერსიტეტო კომპლექსის მშენებლობისთვის უძრავი ქონება, ხოლო მყიდველმა მიიღო ეს ქონება საუნივერსიტეტო კომპლექსის მშენებლობისთვის.

ნასყიდობის საგანი წარმოადგენს მიწის ნაკვეთს, საერთო ფართობით 101222.00კვ.მ, რომელიც მდებარეობს ქ.თბილისში, კახეთის გზატკეცილი „ავტოვაზი“-ს მიმდებარედ.

ნასყიდობის საგნის მახასიათებელია:

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01/19/18/05/002, უფლების რეგისტრაცია №24502/2007 - 28.02.2007წ., გაცემის თარიღი 27.03.2007წ., ზონა თბილისი 01, სექტორი სამგორი 19, კვარტალი 18, ნაკვეთი 05/002, მისამართი: ქალაქი თბილისი, გზატკეცილი კახეთი „ავტოვაზი“-ს მიმდებარედ, ნაკვეთის საკუთრების ტიპი: სახელმწიფო საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი 101222.00, ზომის ერთეული: კვ.მ., ნაკვეთის წინა ნომერი: №5, შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: უფლ.დამ.დოკ.-ის გარეშე არსებული შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: №1, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8. მესაკუთრე სახელმწიფო.

მუხლი 2. ნასყიდობის ფასი და მისი გადახდის წესი

ნასყიდობის საგანი გადაეცა **1 923 218 (მილიონ ცხრაას ოცდასამი ათას ორას თვრამეტი) ლარად. (1კვ.მ.) მიწის ნორმატიული ფასი შეადგენს 19 (ცხრამეტი) ლარს.**

ნასყიდობის მთლიანი თანხის დაფარვის ვადაა 2 წელი ხელშეკრულების გაფორმების დღიდან. თანხის გადახდის გრაფიკი და სანქციები.

№	რიცხვი	თანხა
1	15.05.2007	80 136 ლარი
2	15.06.2007	80 134 ლარი
3	15.07.2007	80 134 ლარი
4	15.08.2007	80 134 ლარი
5	15.09.2007	80 134 ლარი
6	15.10.2007	80 134 ლარი
7	15.11.2007	80 134 ლარი
8	15.12.2007	80 134 ლარი
9	15.01.2008	80 134 ლარი
10	15.02.2008	80 134 ლარი
11	15.03.2008	80 134 ლარი
12	15.04.2008	80 134 ლარი
13	15.05.2008	80 134 ლარი
14	15.06.2008	80 134 ლარი
15	15.07.2008	80 134 ლარი
16	15.08.2008	80 134 ლარი
17	15.09.2008	80 134 ლარი
18	15.10.2008	80 134 ლარი
19	15.11.2008	80 134 ლარი
20	15.12.2008	80 134 ლარი
21	15.01.2009	80 134 ლარი
22	15.02.2009	80 134 ლარი
23	15.03.2009	80 134 ლარი
24	15.04.2009	80 134 ლარი
		ჯამი: 1 923 218

ნასყიდობის ფასის გადახდის გრაფიკის ვადის დარღვევის შემთხვევაში მყიდველს გამყიდველის სასარგებლოდ დაერიცხება საურავი ნასყიდობის ფასის გადახდის პერიოდში გადასახდელი თანხის 0,5% ოდენობით თითოეული ვადაგადაცილებული დღისათვის, საურავის დარიცხვა გაგრძელდება ნასყიდობის ფასის შესაბამის პერიოდში გადასახდელი ნაწილის სრულ გადახდამდე.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობა

- გამყიდველი იღებს თავის თავზე ნასყიდობის ტერიტორიაზე არსებულ წითელი ხაზებით შემოხაზულ 5/1 ფართთან დაკავშირებით საკითხის მოგვარებას;

- აგრეთვე ვალდებულია თავისი ხარჯით ნასყიდობის საგანი გაათავისუფლოს მაღალი ძაბვის ანძებისაგან, კაბელებისაგან და ბუნებრივი აირის მილებისაგან.

მუხლი 4. ნასყიდობის საგნის უფლებრივი და ნივთობრივი უნაკლობა

1. ნასყიდობის საგანი საკუთრების უფლებით ეკუთვნის გამყიდველს, რაც შემოწმებული და დადასტურებულია შემდეგი დოკუმენტებით: 1) **ამონაწერი საჯარო რეესტრიდან,** მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01/19/18/05/002, უფლების რეგისტრაცია №24502/2007 - 28.02.2007წ., გაცემის თარიღი 27.03.2007წ., 2) საკადასტრო რუკა რეგისტრაციის №24502/2007, 3) მიწის ნაკვეთის გეგმა, დამოწმების თარიღი 28.02.2007წ., ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური, 4) წერილი №6/211 დამოწმების თარიღი 28.02.2007წ., ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის საფუძველზე.

2. ნასყიდობის საგანი არის უფლებრივად უნაკლო. იგი არ არის ყადაღადადებული, რაც დასტურდება საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ქ.თბილისის ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურის მიერ **2007 წლის 27 მარტს** გაცემული ცნობით, რომლის რეგისტრაციის ნომერია: ყად-32948.

3. გამყიდველის განცხადებით, ნასყიდობის საგანი არ არის სადავო, მესამე პირს არ შეიძლება რაიმე პრეტენზია ჰქონდეს ნასყიდობის საგნის მიმართ.

4. მხარეებმა განაცხადეს, რომ ნასყიდობის საგანი ნივთობრივად უნაკლოა. ნასყიდობის საგნის ხარისხი შეთანხმებულია მხარეთა შორის, მყიდველმა მოიწონა ნასყიდობის საგნის ხარისხი.

5. იმ შემთხვევაში, თუ ნასყიდობის საგანი აღმოჩნდება უფლებრივად და/ან ნივთობრივად ნაკლის მქონე, გამყიდველი ვალდებულია თავისი ხარჯით გამოასწოროს ეს ნაკლი. გამყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ნაკლის გამოსწორებაზე, თუ ნაკლის გამოსწორება მოითხოვს ნასყიდობის ფასთან შეუსაბამოდ დიდ ხარჯებს. ამ შემთხვევაში ხელშეკრულება მოიშლება და გამყიდველი ვალდებულია მყიდველებს აუნაზღაუროს ზიანი. თუ მყიდველი არ მოითხოვს ნაკლის გამო ამ ხელშეკრულების მოშლას და არც ნაკლის გამოწსორებას, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს ნასყიდობის ფასის შემცირება იმ ოდენობით, რაც საჭიროა ნაკლის გამოსასწორებლად. მხედველობაში მიიღება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებული ფასი. მყიდველს არ წარმოეშობა უფლებები ნასყიდობის საგნის ნაკლის გამო, თუ ამ ხელშეკრულების დადების მომენტში მან იცოდა ამ ნაკლის შესახებ.

ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი და ქონებრივი შედეგები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით და არბიტრაჟით.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებანი

1. ამ ხელშეკრულების იმ ეგზემპლარებს, რომლებიც რჩება სანოტარო არქივში, თან ერთვის დანართი 17 დოკუმენტი: 1) **ამონაწერი საჯარო რეესტრიდან,** მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01/19/18/05/002, უფლების რეგისტრაცია №24502/2007 - 28.02.2007წ., გაცემის თარიღი 27.03.2007წ., 2) საკადასტრო რუკა რეგისტრაციის №24502/2007, 3) ყადაღის ცნობა გაცემული 2007 წლის 27 მარტს, №ყად-32948, 4) საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 22 მარტის №127

განკარგულება, 5) ქ.თბილისის მთავრობის 2006 წლის 10 ნოემბრის №01.45.45 დადგენილება, 6) ქ.თბილისის მთავრობის 2006 წლის 13 დეკემბრის №03.50.118 დადგენილება, 7) ქ.თბილისის მთავრობის 2006 წლის 6 ივნისის №14.15.282 დადგენილება, 8) ქ.თბილისის მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის №01.21.21 დადგენილება, 9) ქ.თბილისის მთავრობის 2007 წლის 7 მარტის №06.24.191 დადგენილება, 10) ქალაქ თბილისის მთავრობა ქ.თბილისის მიწის მართვისა და განკარგვის კომისიის სხდომის ოქმი №26, 02.03.2007წ., 11) ქალაქ თბილისის მთავრობა ქ.თბილისის მიწის მართვისა და განკარგვის კომისიის სხდომის ოქმი №23, 10.01.2007წ., 12) ქალაქ თბილისის მთავრობა ქ.თბილისის მიწის მართვისა და განკარგვის კომისიის სხდომის ოქმი №13, 25.05.2006წ., 13) შპს „შავი ზღის საერთაშორისო უნივერსიტეტის" წესდება, 14) შპს „შავი ზღის საერთაშორისო უნივერსიტეტის" ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან გაცემული 2007 წლის 28 მარტს, რეესტრი №273/045/30/4-154-შპს, 15) მინდობილობა დამოწმებული 2007 წლის 29 მარტს ნოტარიუსის მ.ბრეგვაძის მიერ რეესტრი №1-3637, 16) შპს „შავი ზღის საერთაშორისო უნივერსიტეტის" კრების ოქმი, 17) ქალაქ თბილისის მერია ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 30 მარტს გაცემული ცნობა №4423.

2. მყიდველს ეკისრება სანოტარო მომსახურების საზღაურის გადახდა 2506,45 ლარი, დღგ-ს ჩათვლით.

3. ეს ხელშეკრულება შედგენილია ხუთ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ქ.ოდილავაძის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მხარეებს.

4. ნოტარიუსმა მხარეებს წაუკითხა ეს ხელშეკრულება, მხარეებმა წაიკითხეს ეს ხელშეკრულება დანართებითურთ და მკაფიოდ და ნათლად განაცხადეს, რომ ხელშეკრულება ზუსტად გამოხატავს მათ ნებას და ნოტარიუსის თანდასწრებით ხელი მოაწერეს მას.

ქ.თბილისის მერის პირველი მოადგილე
(ვიცე-მერი) ადმინისტრაციის უფროსი,
ქ.თბილისის მიწის მართვის და
განკარგვის კომისიის თავმჯდომარე

მამუკა ახვლედიანი

შპს „შავი ზღვის საერთაშორისო
უნივერსიტეტის" დირექტორის აჰმეთ ჩეთინ
ჯან-ის ნდობით აღჭურვილი

რესულა დიკაძე

ქ.თბილისის სანოტარო

ქ.ოდილავაძე

დანართი 2

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N01\19\18\05\002

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

უფლების რეგისტრაცია
N 44288/2007 - 12/04/2007

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	სამგორი		
01	**19**	**18**	**05/002**

მისამართი: ქალაქი თბილისი , გზაგკეცილი კახეთი , „ ავტოვაზი" , -ს მიმდებარედ

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 101222.00
ზომის ერთეული: კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: 5
უფლ. დამ. დოკ.-ის გარეშე არსებული შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1, N2, N3, N4, N5, N6, N7, N8

მესაკუთრის განყოფილება

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ნასყიდობის ხელშეკრულება N1663/1 , დამოწმების თარიღი:02/04/2007 ,ნოტარიუსი ქ. ოდილავაძე

მესაკუთრეები:
შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი", იურ. მისამართი:დუშეთის რაიონი, ბაზალეთის ტბა

მესაკუთრე:
შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი"

აღწერა:

ვალდებულებების განყოფილება

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

ნასყიდობის ხელშეკრულება, რეესტრის ნომერი N1663/1, დამოწმების თარიღი02/04/2007, ნოტარიუსი ქ. ოდილავაძე

აღწერა:

მყიდველი შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი" ვალდებულია გამყიდველს გადაუხადოს ნასყიდობის ფასი ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით.

დანართი: საკადასტრო გეგმა

ხელმოწერა

გაცემის თარიღი : .....

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან უძრავ ქონებასთან დაკავშირებით გარიგებებში
საკუთრების უფლებას ადასტურებს გაცემის დღიდან ათი
კალენდარული დღის ვადაში

დანართი 3

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 01\19\18\05\002

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 012007178571 - 05/11/2007 17:47:04

მომზადების თარიღი
13/11/2007 10:19:53

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	სამგორი		
01	19	18	05/002

ნაკვეთის საკუთრების ტიპი:საკუთრება
ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი:101222.00
ზომის ერთეული: კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: 5
უფლ. დამ. დოკ.-ის გარეშე არსებული შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:N1, N2, N3, N4, N5, N6, N7, N8

მისამართი: ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , „ ავტოვაზი" , -ს მიმდებარედ

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 012007178571 , თარიღი 05/11/2007 17:47:04
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 13/11/2007

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- წერილი N6/211 , დამოწმების თარიღი:28/02/2007 , ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური
- მიწის ნაკვეთის გეგმა , დამოწმების თარიღი:28/02/2007 , ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური
- ცვლილება და დამატება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნასყიდობის (პირდაპირი წესით განკარგვის წესით) ხელშეკრულებაში. N1-13914 , დამოწმების თარიღი:24/08/2007 ,ნოტარიუსი ნ. გინტური

მესაკუთრეები:
სახელმწიფო

მესაკუთრე:
სახელმწიფო

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება: **არ არის დატვირთული**

ვალდებულება

ყადაღა: **არ არის რეგისტრირებული**

ხელმოწერა

გაცემის თარიღი : .....

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება აქტივის გადაცემიდან (რეგისტრაციიდან) არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით"

დანართი 4

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.19.25.001.133

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882013582853 - 27/11/2013 11:35:04

მომზადების თარიღი
28/11/2013 15:43:12

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	სამგორი		
01	19	25	001/133

მისამართი: ქალაქი თბილისი , კახეთის გზატკეცილის მიმდებარედ , რადიო სადგურის მიმდებარედ , (ნაკვეთი N 001/133)

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება

ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო

დაზუსტებული ფართობი: **101221.00 კვ.მ.**

ნაკვეთის წინა ნომერი: **01.19.25.001.029; 01.19.25.001.130;**

შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1 (რექტორატი) საერთო ფართით 4656 კვ.მ (მათ შორის სასარგებლო ფართი 2096 კვ.მ, დამხმარე ფართი 1253 კვ.მ, სარდაფის ფართი 880 კვ.მ, საზაფხულო ფართი 427 კვ.მ), N2 (ტექნიკური ცენტრი) საერთო ფართით 865 კვ.მ., N3 საერთო ფართით 502.90 კვ.მ., N4 საერთო ფართით 235.68 კვ.მ., N5 საერთო ფართით 161.79 კვ.მ. , N6 საერთო ფართით 2374.00კვ.მ. მათ შორის(სასარგებლო ფართი 765.00კვ.მ., დამხმარე ფართობი 1475.00კვ.მ., საზაფხულო ფართი 134.00კვ.მ.) და N7 (ცოციალური ცენტრი) საერთო ფართით 1756 კვ.მ (მათ შორის კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართი 108 კვ.მ, საოფისე ფართი 340 კვ.მ, დამხმარე ფართი 704 კვ.მ, სასწავლო აუდიტორიის ფართი 604 კვ.მ). N8-საერთო ფართობით 3270.5 კვ.მ. (მათ შორის: საოფისე ფართობი 752.4 კვ.მ. დამხმარე ფართობი 1068.1 კვ.მ. საზაფხულო ფართობი 1450 კვ.მ.)

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882013582853 , თარიღი 27/11/2013 11:35:04
უფლების რეგისტრაცია: თარიღი **28/11/2013**

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება: http://public.reestri.gov.ge ან დაგვიკავშირდეთ: 2 405 405; 595 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე სარეგისტრაციო სამსახურში ,"ლიბერთი ბანკის" ნებისმიერ ფილიალში ან "პრივატბანკის" სწრაფი გადახდის აპარატიდან.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №32

2006 წლის "20" მარტი

ქ. თბილისი

შავი ზღვის საერთაშორისო
უნივერსიტეტის პრორექტორის
თანამდებობაზე პროფასორ
გიული ალასანიას დანიშვნის
შესახებ

საქართველოს კანონმდებლობის, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტრუქტურის, საშტატო განრიგისა და დადებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პრორექტორის(სამეცნიერო და აბრეშუმის გზის კვლევის დარგში)თანამდებობაზე დაინიშნოს პროფესორი გიული ალასანია და განესაზღვროს ხელფასი [redacted] ლარი %-ული დანამატის ჩათვლით.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი
პროფ. დოქტ. აჰმედ ჩეთინ ჯანი

Emirname N32
2006 yılı 20 mart
Tiflis

Uluslararası Karadeniz Üniversitesi
Rektör yardımcısı Giuli Alasania'nın atanması ile ilgili

EMİRNAME

Gürcistan kanunlarına, İBSU pilanlaması, IBSU tüzüğü ve iş sözleşmesi gereğince Prof.Giuli Alasania Rektör Yardımcısı (İpek Yolu Araştırma alanında) olarak atanmıştır. Aylık m[redacted]laridir.ek ödemeler dahil.

L.T.D. Uluslararası Karadeniz Üniversitesi
Rektörü Prof.Dr. Ahmet Çetin CAN

სანოტარო აქტი

რეესტრში რეგისტრაციის № 1-13914

საქართველო

ორიათასშვიდი წლის ოცდაოთხ აგვისტოს მე, **ნ. გინტურს**, ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №47-ში, მომმართეს ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეული. ქ. თბილისის მერიის (მთავრობის) სახით ქ. თბილისის მერის პირველმა მოადგილემ (ვიცე-მერი) ადმინისტრაციის უფროსმა, ქ. თბილისის მიწის მართვის და განკარგვის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **მამუკა ახვლედიანმა** და **შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი"-ს** (რეგისტრირებული დუშეთის რაიონული სასამართლოს 1995 წლის 25 აგვისტოს დადგენილებით რეგისტრაციის №30/4-154, იურიდიული მისამართი: დუშეთის რ-ნი, ბაზალეთის ტბა) დირექტორის **აპმეთ ჩეთინ ჯან-ის** ნდობით აღჭურვილმა პირმა **რესულ დიქმენმა**, რომელთაც მოითხოვეს 2007 წლის 02 აპრილს რ№1663/1-ით თბილისის ნოტარიუს ქ. ოდილავაძის მიერ დამოწმებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ (პირდაპირი განკარგვის წესით) ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატების შეტანა. მე დავადგინე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **მამუკა ახვლედიანმა** (დაბადებული 22.06.1973 წელს თბილისში, მცხ: ქ. თბილისი, თხინვალის შესახ. №9, პირადი №01017007577, პ/მ №გ 0857621, გაც. 16.01.2000 წელს მტაწმინდის საპასპორტო მრ და სარ სამსახურის მიერ) და **რესულ დიქმენმა** (დაბადებული 26.03.1972 წელს თურქეთში, მცხ. ქ. თბილისი, ალიბეგასალის ქ. №39, ბინა 7, პ/მ №ა 0004295, პირადი №01015024655, გაც. 22.02.2006 წელს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს კრწანისის სამსახურის მიერ) მომმართეს. მე შევამოწმე **მამუკა ახვლედიანის** უფლებამოსილება. იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს ქ. თბილისის მერია, თანახმად ქ. თბილისის მერიის 2007 წლის 05 ივლისის №215 განკარგულებისა და ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 06 ივლისის №14.04.386 დადგენილებისა. მე შევამოწმე **აპმეთ ჩეთინ ჯან-ის** უფლებამოსილება. იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს და **შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი"**, თანახმად ამონაწერისა სამეწარმეო რეესტრიდან რეგისტრაციის №30/4-154, გაც. 24.08.2007 წელს. მე შევამოწმე **რესულ დიქმენის** უფლებამოსილება. იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს **აპმეთ ჩეთინ ჯან**, თანახმად მინდობილობისა, რომელიც სანოტარო წესით დამოწმებულია 2007 წლის 29 მარტს ნოტარიუსის მ. ბრეგვაძის მიერ რ№1-3637. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავადგინე მათი ნების გამოვლენის ნამდვილობა. შემდეგ შევადგინე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ (პირდაპირი განკარგვის წესით) ხელშეკრულებაში ცვლილების და დამატების შეტანის პროექტი, რომელიც წავუკითხე მათ. მათ განაცხადეს, რომ სურთ სანოტარო აქტის შედგენა სწორედ იმ პირობებით, რაც მითითებულია წინამდებარე აქტში; შემდეგ მათ წაიკითხეს და ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი შემდეგ ცვლილებას და დამატებას ხელშეკრულებაში მოწმობაში:

ცვლილება და დამატება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნასყიდობის (პირდაპირი განკარგვის წესით) ხელშეკრულებაში

1. ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 აგვისტოს №17.12.597 დადგენილების და საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 23 აგვისტოს №435 განკარგულების საფუძველზე შევიდეს ცვლილება და დამატება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ (პირდაპირი განკარგვის წესით) ხელშეკრულებაში, რომელიც სანოტარო წესით დამოწმებულია ქ. თბილისის ნოტარიუს ქ. ოდილავაძის მიერ 2007 წლის 02 აპრილს რ№1663/1-ით და აღნიშნული ხელშეკრულების 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
1) ნასყიდობის საგნის მახასიათებელია: სარეგისტრაციო ზონა – ქ. თბილისი, კოდი – 01, სექტორი – სამგორი, კოდი – 19, კვარტალი №25, ნაკვეთის №01/043, ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება; ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო; დაზუსტებული ფართობი: 101221.00; ზომის ერთეული: კვმ; ნაკვეთის წინა ნომერი: 1/22, 1/42, მისამართი: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი (ნაკვეთი №01/043).
2. ხელშეკრულების დანარჩენი ნაწილი დარჩეს უცვლელი.
3. აღნიშნული ცვლილება და დამატება შედგენილია ხუთი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და წარმოადგენს 2007 წლის 02 აპრილს ქ. თბილისის ნოტარიუს ქ. ოდილავაძის მიერ დამოწმებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ (პირდაპირი განკარგვის წესით) ხელშეკრულების დამატებას და ექვემდებარება საჯარო რეესტრში სავალდებულო რეგისტრაციას.
4. შეთანხმების იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო ბიუროს არქივში თან ერთვის შემდეგი დოკუმენტები:
   1) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01/19/25/01/043, განცხადების რეგისტრაცია №012007125138 – 21/08/2007 17:40:59, მომზადების თარიღი 21/08/2007 19:09:40, გაც. 21.08.2007 წელს;
   2) საკადასტრო გეგმის სარეგისტრაციო №012007126033 – ასლი;
   3) ქ. თბილისის მერიის 2007 წლის 05 ივლისის №215 განკარგულება;
   4) ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 06 ივლისის №14.04.386 დადგენილება;
   5) ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 აგვისტოს დადგენილება №17.12.597;
   6) საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 23 აგვისტოს №435 განკარგულება;
   7) ქ. თბილისის მთავრობის ქ. თბილისის მერიის მიწის მართვის და განკარგვის კომისიის 2007 წლის 10 იანვრის სხდომის ოქმი №23;
   8) ქალაქ თბილისის მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის №01.21.21 დადგენილების – ასლი;
   9) ქ. თბილისის მთავრობის ქ. თბილისის მერიის მიწის მართვის და განკარგვის კომისიის 2007 წლის 02 მარტის სხდომის ოქმი №26;
   10) ქალაქ თბილისის მთავრობის 2007 წლის 07 მარტის №06.24.191 დადგენილების – ასლი;
   11) **შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი"-ს** წესდების რეგისტრაციის №30/4-154 – ასლი;
   12) **შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი"-ს** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან რეგისტრაციის №30/4-154, გაც. 24.08.2007 წელს;
   13) **შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი"-ს** პარტნიორთა კრების ოქმი №4, რომელიც სანოტარო წესით დამოწმებულია 2007

წლის 30 მარტს ქ. თბილისის ნოტარიუს მ. ბრეგვაძის მიერ რ№1-3752;

14) მინდობილობის, რომელიც სანოტარო წესით დამოწმებულია 2007 წლის 29 მარტს ნოტარიუსის მ. ბრეგვაძის მიერ რ№1-3637 – ასლი.

5. გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: ორი ათას ასოცდაოთხი (2124) ლარი და ოთხმეტი (14) თეთრი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ საქართველოს კანონის (11 ივნისი,1998 წ. №1417 II ს) 22-ე მუხლისა, აგრეთვე დღგ: სამასოთხმოცდაორი (382) ლარი და ოცდათოთხმეტი (34) თეთრი, თანახმად საქართველოს საგადასახადოს კოდექსის 245-ე მუხლის I ნაწილისა, სულ გადახდილია: ორი ათას ხუთასექვსი (2506) ლარი და ორმოცდარვა (48) თეთრი.

მხარეთა ხელმოწერები:

ქ. თბილისის მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი)

ადმინისტრაციის უფროსი,

ქ. თბილისის ადგილობრივ საკუთრებაში არსებული

მიწის განკარგვის კომიისიის თავმჯდომარე

შალვა სვანიძე

შმუკა ახვლედიანი

TBILISI CITY HALL * ქ. თბილისის მერია * ადმინისტრაცია * 204521794

შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი"-ს დირექტორის

აჰმეთ ჩეთინ ჯან-ის ნდობით აღჭურვილი პირი

რუხულ დიქმენ

BLACK SEA INTERNATIONAL UNIVERSITY * TBILISI GEORGIA * 229275405

ნოტარიუსი: _____ / ნ. გინტური /

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N140282325
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	25.03.2014 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	სანოტარო არქივში დაცული დოკუმენტის ასლის ან ამონაწერის გაცემა
ნოტარიუსი	ნუნუ გინტური
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. #47
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2935425
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	94591077392914

შეკერილია და დანომრილია ფურცლად

ნოტარიუსი:

საქართველო

ორიათასთოთხმეტი წლის ოცდახუთ მარტს მე, ნოტარიუსი ნ. გინტური, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. # 47-ში, სანოტარო მოქმედებათა შესრულების შესახებ ინსტრუქციის 59-ე მუხლის საფუძველზე ვამოწმებ 24.08.2007 წელს ნოტარიუს ნ. გინტურის მიერ რ#1-13914-ით დამოწმებული დოკუმენტის არქივიდან გაცემული ფოტო ასლის შესაბამისობას დედანთან. სანოტარო მოქმედება იაშა მურვანიძის (დაბადებული 15.09.1975 წელს შუახევში, პ/მ #ბ 0765890, პირადი #61010000283, გაც. 30.08.2005 წ., მცხ. ბათუმი, საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურის მიერ) მოთხოვნით.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური 3.00 ლარი + 0.54 ლ დღგ + 2 ლარი (რეგ)

ნოტარიუსი: _____ / ნ. გინტური /